საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/05/2026

MES 7 26 0000642408

გადაწყვეტილება

მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების" აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ შესრულებულია და ამასთან არცერთი სტანდარტი არ ფასდება როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 14 თებერვალს №160333 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

2.2. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმური მონიტორინგის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 12 თებერვლის №157557 ბრძანების შესაბამისად (ცვლილება ბრძანებაში - 2026 წლის 5 მარტის № 269221 ბრძანება) აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა.

2.3. საბჭომ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 24-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელოს დანართი №1- ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №600173 სხდომის ოქმის №2 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 21 მაისს.

6. დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით ანგარიშის წარმოდგენის ვადაა 1 წელი, 2027 წლის 21 მაისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	14/02/2024, N160333
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	"დიპლომირებული მედიკოსი ექიმი" (MD Physician)
10	კვალიფიკაციის დასახელების შესატყვისი საქართველოს ეროვნული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor)
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა - 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ერევანი, კორიუნის 2, RA 0025
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2026 წლის 21 მაისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2027 წლის 21 მაისი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2031 წლის 14 თებერვალი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე